პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

19 ოქტომბერი ხუთშაბათი, 1961 წ.
№ 167 (1803)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 2 კაპ.

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების დასაწყისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ ექვს წელს ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა სამშობლო შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიად სამუშაოთა მთელი ფართო ფრონტით. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და კულტურა მკვეთრი აღმავლობის გზაზეა. წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმა — ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების გეგმა.

სოციალიზმი დამკვიდრდა მთელი მსოფლიოს სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში. განვლილი წლების უმნიშვნელოვანესი მოვლენები გამოხატავდა ჩვენი დროის მთავარ კანონზომიერებას: სწრაფად მიმდინარეობდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სასიცოცხლო ძალების ზრდისა და განმტკიცების პროცესი.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობა მიმდინარეობდა რთულ საერთაშორისო ვითარებაში. იმპერიალისტებმა არაერთგზის სცადეს ომის საშიშ ზღვარზე დაეყენებინათ მსოფლიო, მოესინჯათ საბჭოთა კავშირის ძალა და მისი ხალხების მამაცობა.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა პარტიის თეორიული დასკვნებისა და პოლიტიკური კურსის, მისი გენერალური ხაზის სისწორე. თავის XXII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტების ათმილიონიანი პარტია მოვიდა ერთიანი და შეკავშირებული, განუყრელად დაკავშირებული საბჭოთა ხალხთან. პარტიისა და ხალხის ერთიანობის, მათი ნებისა და ფიქრების ცოცხალი განსახიერებაა ჩვენი ყრილობის ხუთი ათასი დელეგატი — დიადი ლენინური პარტიის საუკეთესო შვილები.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პრესტიჟი და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო გაიზარდა. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა მაღალი შეფასება მისცეს სკკპ როლს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. ყრილობის სახელით, საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტის სახელით მან მხურვალე მადლობა უძღვნა მოძმე პარტიებს ჩვენი პარტიისადმი ნდობისათვის, აღუთქვა ძვირფას სტუმრებს — მოძმე პარტიების დელეგატებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე.

## I

## თანამედროვე მსოფლიო ვითარება და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

მოხსენების დიდი ნაწილი მიეძღვნა თანამედროვე მსოფლიო ვითარებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ორი მსოფლიო სოციალური სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეჯიბრება გახდა თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე მსოფლიო განვითარების ღერძი, საფუძველი.

ჩვენ განუხრელად ვახორციელებთ მშვიდობის პოლიტიკას, მაგრამ არ ვივიწყებდით ომის საფრთხეს იმპერიალისტების მხრივ. ის ფაქტი, რომ მოხერხდა ომის თავიდან აცილება და საბჭოთა ადამიანებს, სხვა ქვეყნების ხალხებს შეეძლოთ ესარგებლათ მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით, უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდისათვის, ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის მთავარ შედეგად, სოციალიზმის ქვეყნების მოძმე პარტიების საქმიანობის, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალების აქტივიზაციის შედეგად.

ორი სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების მსვლელობაში კაპიტალიზმმა დიდი მორალური დამარცხება განიცადა ყველა ხალხის თვალში. უბრალო ადამიანები ყოველდღე რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმს არ ძალუძს გადაჭრას არც ერთი მომწიფებული პრობლემა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მხოლოდ სოციალიზმის გზებზე შეიძლება გამოინახოს ასეთი პრობლემების გადაწყვეტა.

მოვლენები გვიჩვენებენ, რომ XX ყრილობაზე შემუშავებული ჩვენი პარტიის კურსი სწორი იყო. მომხსენებელი ახასიათებს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ისტორიული განვითარების განვლილი ეტაპის თავისებურებებს, სისტემისა, რომლის ეკონომიკა კვლავ ვითარდება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე კაპიტალიზმის ეკონომიკა. 1960 წელს სოციალისტურმა ქვეყნებმა გაადიდეს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1937 წელთან შედარებით 6,8-ჯერ, მაშინ, როცა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა — 2,5-ჯერ და უფრო ნაკლებად. სოციალიზმის ქვეყნების წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში, რაც 1955 წელს შეადგენდა 27 პროცენტს, 1960 წელს გაიზარდა დაახლოებით 36 პროცენტამდე.

ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა, მტკიცდება ყველა სოციალისტურ ქვეყანაში. ჩვენი ხალხი ღრმა სიმპათიით ხვდება წარმატებებს დიდი ჩინელი ხალხის, სხვა მოძმე ხალხების სოციალისტურ მშენებლობაში და ახალ სახელოვან გამარჯვებებს უსურვებს მათ.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო სოციალისტური ქვეყნების ძმური დაახლოების პროცესს, მათს პოლიტიკურ და სამეურნეო კონსოლიდაციას, პირდაპირ საწარმოო თანამშრომლობას.

ჩვენს პარტიას ნათლად ესმის თავისი ამოცანები, თავისი პასუხისმგებლობა და ყოველ ღონეს იხმარს, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა კვლავაც მტკიცდებოდეს, ძალებს იკრებდეს და ვითარდებოდეს. ჩვენ გვჯერა, რომ კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში გამარჯვება სოციალიზმს დარჩება. ჩვენ გვჯერა, რომ ამ გამარჯვებას მოვიპოვებთ მშვიდობიან შეჯიბრებაში და არა ომის გაჩაღების გზით. ჩვენ ვიდექით, ვდგავართ და ვიდგებით სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე, ყოველ ღონეს ვხმართ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

შეეხო რა კაპიტალიზმის ქვეყნების მდგომარეობას, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ შემდგომ მწვავდება წინააღმდეგობანი როგორც ამ ქვეყნების შიგნით, ისე მათ შორის. კაპიტალიზმის შემდგომი ლპობის საერთო ტენდენცია კვლავ ულმობელი ძალით მოქმედებს.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო კოლონიური სისტემის ნაშთების ლიკვიდაციის ამოცანას, კაპიტალის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლას თავიანთი ეკონომიური და სოციალური უფლებებისათვის, კომუნისტური პარტიების საქმიანობას. სოციალიზმის ქვეყნებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლა ახალი აგრესიისა და ომის მომზადების წინააღმდეგ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი შინაარსია.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, და თქვა, რომ ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის შემადგენელი ნაწილია ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის პრობლემას. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ჰიტლერელ დამპყრობებზე გამარჯვების 16 წლის შემდეგ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ საზავო ხელშეკრულება, განამტკიცებს რა პოტსდამის შეთანხმებით დადგენილი გერმანიის საზღვრებს, ხელფეხს შეუკრავს რევანშისტებს და დაუკარგავს მათ ავანტიურების ხალისს.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების გზად ჩვენ მიგვაჩნია საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარება ყველა ქვეყანასთან. იგი ლაპარაკობს თანამშრომლობის განვითარებაზე სოციალისტურ ქვეყნებთან, აზიის დიდ სახელმწიფოებთან — ინდოეთსა და ინდონეზიასთან, ურთიერთობაზე აფრიკის სახელმწიფოებთან და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ურთიერთობას კაპიტალისტური სამყაროს მთავარ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

თანამედროვე პირობებში, აცხადებს ნ. ს. ხრუშჩოვი, დაისახა პერსპექტივა მივაღწიოთ მშვიდობიან თანაარსებობას მთელი პერიოდისათვის, რის განმავლობაშიც უნდა გადაიჭრას სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ამჟამად თიშავენ მსოფლიოს. საქმე იქითკენ მიდის, რომ ჯერ კიდევ სანამ სავსებით გაიმარჯვებდეს სოციალიზმი დედამიწაზე, როცა შენარჩუნებული იქნება კაპიტალიზმი მსოფლიოს ერთ ნაწილში, შეიქმნება რეალური შესაძლებლობა გამოირიცხოს მსოფლიო ომი საზოგადოების ცხოვრებიდან.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ დიდი ლენინის მიერ წამოყენებული სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი მშვიდობის შენარჩუნებისა და საყოველთაო გამანადგურებელი ომის თავიდან აცილების გზაა.

## II

## საბჭოთა კავშირი შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში

XX ყრილობის შემდეგ პარტიის საქმიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი იყო ბრძოლა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდის ძირითადი ამოცანების შესრულებისათვის: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება; მშრომელთა კომუნისტური აღზრდა; ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მძიმე ინდუსტრიას — მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველს. ექვსი წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება თითქმის 80 პროცენტით გადიდდა. განსაკუთრებით საგულისხმოა მძიმე ინდუსტრიის წამყვანი დარგების მიღწევები. ფოლადის გამოდნობა გადიდდა 26 მილიონი ტონით, რაც აღემატება ფოლადის მთელ წლიურ წარმოებას ინგლისში. ნავთობის მოპოვება გაიზარდა 95 მილიონი ტონით — სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, შეიქმნა ხუთი ახალი ბაქო. ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 157 მილიარდი კილოვატსაათით, ესე იგი ჩვენ — თითქმის მოგვემატა 50 ისეთი ელექტროსადგური, როგორიც არის ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური.

თანამედროვე ინდუსტრიის ბაზაზე სწრაფად ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ნ. ს. ხრუშჩოვს მოჰყავს მონაცემები, თუ როგორ გადიდდა ჩვენში 1955 წლიდან სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის ხორცის, კარაქის, რძის პროდუქციის, შაქრისა და სხვა საქონლის წარმოება. მარტო შვიდწლედის სამ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ერთ მილიარდ მეტრზე მეტი ქსოვილი და 70 მილიონამდე წყვილი ფეხსაცმელი. შვიდწლედის დარჩენილ წლებში მთავრობა დამატებით გამოჰყოფს ორნახევარ მილიარდამდე მანეთს საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის და მათი სანედლეულო ბაზის განვითარებისათვის. შვიდწლედის დამლევისათვის ჩვენი მრეწველობა გამოუშვებს ცხრა მილიარდზე მეტ კვადრატულ მეტრ ქსოვილს წელიწადში; წარმოებულ იქნება დაახლოებით სამი წყვილი ფეხსაცმელი ერთ სულ მოსახლეზე. ამ საქონლის წარმოებით სსრ კავშირი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ინგლისს, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას, ერთად.

ჩვენი გეგმები მშვიდობიანი მშენებლობის გეგმებია. ზრუნავს რა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების აღმავლობისათვის, პარტიას მუდამ ახსოვს, რომ საჭიროა მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს სერიოზულ თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა XX ყრილობის შემდეგ მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ამბობს, რომ 1956-1961 წლებში სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში შეადგინა 156 მილიარდი მანეთი. ეს მეტია, ვიდრე დაბანდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების განმავლობაში პარტიის XX ყრილობამდე! საექსპლოატაციოდ გადაეცა ექვსი ათასამდე დიდი სახელმწიფო საწარმო.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც XXI ყრილობამ მიიღო. შვიდწლიანი გეგმით პირველი სამი წლისათვის დასახული იყო მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური მატება 8,3 პროცენტით. ფაქტიურად განვლილ სამ წელიწადში მატება შეადგენს 10 პროცენტს.

ახლა სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია შეადგენს ამერიკის პროდუქციის 60 პროცენტზე მეტს. ახლა ჩვენი ქვეყანა აწარმოებს მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეხუთედ ნაწილს — მეტს, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, იაპონია, ბელგია და ნიდერლანდები ერთად. ესენი კი, ხომ დიდად განვითარებული ქვეყნებია, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხვი შეადგენს 280 მილიონ კაცს.

შვიდწლიანი გეგმის შესრულება ჩვენს სამშობლოს გამოიყვანს ისეთ მიჯნაზე, როცა უკვე საჭირო იქნება ცოტა დრო იმისათვის, რომ გავუსწროთ შეერთებულ შტატებს ეკონომიურად. საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის რეზერვები, ამოვფხვრათ გამფლანგველობა და უყაირათობა. მთავარი, რასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებაა. უფრო სწრაფად და მთლიანად უნდა გამოვიყენოთ

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ყველაფერი, რასაც ქმნის მეცნიერება და ტექნიკა ჩვენს ქვეყანაში, უფრო გაბედულად უნდა ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო, რასაც გვაძლევს საზღვარგარეთის გამოცდილება.

ჩვენს ქვეყანაში ახლა 100 ათასზე მეტი მშენებლობაა, მათი ნახევარი საწარმოო დანიშნულებისაა. მომხსენებელი ამბობს, რომ, ალბათ, რაღაც ვადით, ვთქვათ ერთი წლით, უნდა შევწყვიტოთ ახალ საწარმოთა მშენებლობის დაწყება, და მთელი სახსრები, რომლებიც ამ ხნის მანძილზე დაგროვდება, მოვახმაროთ უკვე დაწყებული ობიექტების რაც შეიძლება მალე დამთავრებას. გამონაკლისი შეიძლება დავუშვათ მხოლოდ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის და აუცილებლად საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით.

პარტიის განსაკუთრებული ყურადღება საანგარიშო პერიოდში დათმობილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომ პლენუმებზე გამოვლინებულ იქნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში შეცდომათა და ნაკლოვანებათა მიზეზები, შემუშავებულ იქნა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ყოველმხრივი პროგრამა.

ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის ყველა მშრომელის ღონისძიებანი მიმართა მარცვლეულის, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძვლის წარმოების გადიდებისათვის. ხალხის სამსახურში ჩავაყენეთ 41,8 მილიონი ჰექტარი ახალი მიწები. ყამირი მიწები ახლა იძლევიან ჩვენს ქვეყანაში მთელი პურის დამზადების 40 პროცენტზე მეტს.

ბევრად გადიდდა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტის შესყიდვა. თუ წინათ სახელმწიფო ყიდულობდა ორ მილიარდამდე ფუთ მარცვლეულს, ამ უკანასკნელ წლებში იგი ყიდულობს სამ მილიარდ ფუთსა და მეტს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ყველაზე გადაუდებელ პრობლემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებს. ყამირი მიწების ათვისებასთან ერთად საკვები ბაზის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა სიმინდის ნათესების დანერგვა. თუ 1953 წელს სიმინდს ეკავა 3.485 ათასი ჰექტარი, ამჟამად თითქმის 26 მილიონი ჰექტარი უკავია. ახლა სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ძირეული ცვლილებები მოხდა.

წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში უდავო და მნიშვნელოვანია, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი. მაგრამ ისმება კითხვა: რატომ არის, რომ ჯერ კიდევ არ გვყოფნის ზოგიერთი პროდუქტი, განსაკუთრებით ხორცი, რატომ არის, რომ საერთო სერიოზული მიღწევების დროს არც თუ მცირე სიძნელეები გვეღობება მოსახლეობის მომარაგებაში მეცხოველეობის პროდუქტებით?

უწინარეს ყოვლისა, ეს აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპსა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა მუდამ ყურადღების ცენტრში გვქონდეს სოფლის მეურნეობის საკითხები, უზრუნველვყოთ მისი განვითარების ისეთი ტემპი, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მუდამ წინ უსწრებდეს მოთხოვნას.

წელს მარცვლეულის მთლიანი მოსავალი შარშანდელთან შედარებით გადიდდა. 15 ოქტომბრისათვის შესყიდულია 3 მილიარდ 86 მილიონი ფუთი მარცვლეული, ანუ 354 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1960 წელს ამ დროისათვის, ხოლო სულ სახელმწიფო წელს შეისყიდის დაახლოებით 3 მილიარდ 800 მილიონ ფუთ მარცვლეულს — 450 მილიონი ფუთით მეტს, ვიდრე შარშან შეისყიდა. ეს პარტიისა და ხალხის დიდი გამარჯვებაა. იგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მოპოვებულია ისეთ წელიწადში, რომელიც საუკეთესო როდი იყო კლიმატური პირობებით.

რაც შეეხება მეცხოველეობას, აქაც მიღწეულია ზოგიერთი წარმატება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წლის განმავლობაში გადიდდა 4 მილიონით, აქედან ძროხისა — 1 მილიონ 700 ათასით. ღორის სულადობა გადიდდა 5 მილიონით და ცხვრისა — 3 მილიონით. გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა.

ჩვენი რეზერვები უზარმაზარია, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. ისინი საშუალებას გვაძლევენ უახლოეს წლებში, როგორც ეს დასახულია ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მარცვლეულის შესყიდვა ავიყვანოთ 4 მილიარდ 200 მილიონ ფუთამდე, ხორცისა — 13 მილიონ ტონამდე, რძისა — 50 მილიონ ტონამდე წელიწადში.

პარტია სახავს სოფლის მეურნეობის განვითარების 20 წლის პერსპექტივას. საჭიროა, რომ მუშებმა და კოლმეურნეებმა, კომუნისტებმა და უპარტიოებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა შეიგნონ, რომ დიადი გეგმის წარმატებით შესრულების საფუძვლები იქმნება დღეს შვიდწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა მთელი პარტიის მთელი ხალხის საქმეა. ეს კომუნიზმის ის მიჯნაა, რომელიც ჩვენ უნდა ავიღოთ საბჭოთა წყობილების მთელი ძლიერებით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი ხმარდება მშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. შვიდწლედის განმავლობაში მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი გაიზრდება 40 პროცენტით.

პარტია ბევრ ყურადღებას უთმობს ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავენ კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მთავრდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება, მაღლდება ამ ხელფასის მინიმალური დონე. ამავე დროს აღმოფხვრილია ზედმეტობანი ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში. უახლოეს წლებში შრომის ანაზღაურების ახალი პირობები შემოღებულ იქნება მთელ სახალხო მეურნეობაში. გათვალისწინებულია გავუდიდოთ ხელფასი ინტელიგენციის ისეთ მრავალრიცხოვან რაზმებს, როგორიც არიან მასწავლებლები და ექიმები. შვიდწლედის დარჩენილ წლებში ხელფასის მინიმუმი გადიდდება 50-60 მანეთამდე. გაიზრდება საშუალო ხელფასის მქონე მუშებისა და მოსამსახურეების განაკვეთები და სარგოები. 1965 წლის დამლევს ჩვენში არ იქნება მოსახლეობის არავითარი გადასახადი. გადასახადის გაუქმება საბჭოთა ხალხის შესანიშნავი სოციალური მონაპოვარია.

ამ ბოლო დროს განხორციელდა პენსიით უზრუნველყოფის გაუმჯობესების დიდი ღონისძიებები. 1963 წელს პენსიების მინიმალური ოდენობა კვლავ გადიდდება.

ჭეშმარიტად უმაგალითო გაქანება მიეცა საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობას. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აიგო მეტი სახლი, ვიდრე წინა 15 წლის მანძილზე. ახალი ბინები მიიღო 50 მილიონამდე კაცმა, მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა! საბინაო მშენებლობის მოცულობისა და ტემპის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. შვიდწლედის დარჩენილ ოთხ წელიწადში უნდა ავაშენოთ 400 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ანუ 1,6 -ჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში ერთად. ოთხ მილიონზე მეტი სახლი აშენდება სოფლად.

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ საბჭოთა საზოგადოება გახდა ყველაზე განათლებული საზოგადოება მსოფლიოში, ხოლო საბჭოთა მეცნიერებამ მოწინავე პოზიციები დაიკავა ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში. 1965 წელს სკოლებში ისწავლის 43 მილიონამდე ბავშვი. საბჭოთა კავშირში ვამზადებთ სამჯერ მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ, ხოლო სულ გონებრივი შრომის მუშაკი ჩვენს ქვეყანაში 20 მილიონზე მეტია. ჩვენ გვყავს 350 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

ახალი ბრწყინვალე ეპოქა კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარებაში შექმნა ჩვენი მეცნიერების წარმატებებმა კოსმოსის ათვისებაში. თავიანთი აკვნის — დედამიწის დატოვება პირველმა გაბედეს და ტრიუმფული ფრენა განახორციელეს კოსმოსში საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა ი. ა. გაგარინმა და გ. ს. ტიტოვმა, XXII პარტიული ყრილობის დელეგატებმა!

დავიკავოთ მოწინავე პოზიციები მსოფლიოში მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ძირითადი მიმართულებით — ასეთია ამოცანა.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მტკიცედ მოიპოვეს დიდი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში თავიანთი მდიდარი იდეური შინაარსით. ამ უკანასკნელ წლებში შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი ნაწარმოებნი, რომლებიც მართლად და მკაფიოდ ასახავენ სოციალისტურ სინამდვილეს. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იქმნება ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობანი თავისუფალი მხატვრული შემოქმედების გაფურჩქვნისათვის, კულტურულ ფასეულობათა შექმნაში ფართო მასების აქტიური მონაწილეობისათვის.

მოხსენებაში ლაპარაკია სოციალისტური საწარმოო და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და სრულყოფაზე. ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ ეს ძირითადი გზაა იმისათვის, რომ შეიქმნას კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა — ყველაზე სრულყოფილი ტიპის ურთიერთობა თავისუფალ, ყოველმხრივ განვითარებულ და დიდად შეგნებულ ადამიანებს შორის, ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეგობრობა და ამხანაგობა.

ჩვენი სამშობლო დიდ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს კომუნიზმის მშენებლობა მიაჩნია თავის მშობლიურ საქმედ, ისინი ხელიხელჩაკიდებული შრომობენ, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საერთო გამარჯვებაში.

## III

## ლენინური პარტია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორია

ჩვენი დიადი წარმატებები როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის დარგში, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მიღწეულია იმის მეოხებით, რომ მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის ლენინური გენერალური ხაზი, რომელმაც თავისი ღრმა გამოხატულება პოვა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მოგახსენოთ, რომ XX ყრილობის პოლიტიკურმა კურსმა სავსებით გაიმარჯვა. თვით ცხოვრებით ნაკარნახები, ლენინური რევოლუციური შემოქმედების სულისკვეთებით გამსჭვალული იგი გახდა მთელი საბჭოთა ხალხის საქმე. პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი კავშირი ხალხთან და, დაეყრდნო რა მის მძლავრ ენერგიას, კიდევ უფრო განადიდა საბჭოთა კავშირი.

XX ყრილობამ დაგმო მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო პიროვნების კულტი, ფართო ასპარეზი მისცა პარტიისა და ხალხის შემოქმედებით ძალებს, ხელი შეუწყო მასებთან პარტიის კავშირის გაფართოებას და პარტიის ბრძოლისუნარიანობის გადიდებას.

XX ყრილობის წინ საკითხი ასე იდგა: ან პარტია აშკარად, ლენინურად დაგმობს ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში დაშვებულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, უარყოფს პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის იმ მეთოდებს, რომლებიც აფერხებდა წინსვლას, ან პარტიაში გაიმარჯვებენ ძალები, რომლებიც ძველს ებღაუჭებოდნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველივე ახალს, შემოქმედებითს. სწორედ ასე მწვავედ დაისვა საკითხი.

საჭირო იყო თუ არა ასე მკვეთრად და ასე გულახდილად გაგვეკრიტიკებინა პიროვნების კულტთან დაკავშირებული დიდი შეცდომები და მძიმე შედეგები?

დიახ, ეს საჭირო იყო. დაუძინებელი მტრისა და ავანტიურისტის ბერიას მხილების შემდეგ, მთელი რიგი დოკუმენტების გულდასმითი ანალიზისა და ღრმად შესწავლის შედეგად ცენტრალური კომიტეტის წინაშე მთელი სისრულით გამომჟღავნდა სოციალისტური კანონიერების უაღრესად უხეში დარღვევის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, ბევრი პატიოსანი ადამიანის წინააღმდეგ, მათ შორის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეთა წინააღმდეგ რეპრესიებისა და თვითნებობის ფაქტები. ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, არ შეეძლო დასდგომოდა იმ შეცდომებისა და დამახინჯებათა დაფარვის ან მიჩქმალვის გზას, რაც წარსულში იყო დაშვებული. ლენინის ანდერძის შესაბამისად ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეთქვა სიმართლე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ პიროვნების კულტის პერიოდში. ეს იყო პარტიის, მისი ხელმძღვანელობის შინაგანი მორალური მოთხოვნილება და მოვალეობა. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ბედისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

XX ყრილობაზე პარტიამ გააკრიტიკა პიროვნების კულტი. ასრულებდა რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, მან აღმოფხვრა დამახინჯებანი და შეცდომები და დასახა ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავდნენ მომავალში ამგვარ მოვლენათა განმეორების შესაძლებლობას. ეს იყო გაბედული გადაწყვეტილება, იგი გახდა ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური სიმწიფის ატესტატი.

პირველ ხანებში პარტიის იმ ხაზს, რომ დაეგმო პიროვნების კულტი, განევითარებინა შინაპარტიული დემოკრატია, დაეგმო და გამოესწორებინა ძალაუფლების ყოველგვარი ბოროტად გამოყენება, გამოევლინებინა რეპრესიების კონკრეტული დამნაშავენი მკვეთრ წინააღმდეგობას უწევდნენ მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და ვოროშილოვი. ასეთი მათი პოზიცია შემთხვევითი როდი იყო: მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბევრი მასობრივი რეპრესიისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამხედრო და კომკავშირული კადრების მიმართ და სხვა ამგვარი მოვლენებისათვის, რაც მოხდა, პიროვნების კულტის პერიოდში.

მაგრამ როცა პარტიამ გააჩაღა ბრძოლა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, დაიწყო ისეთი გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა ყამირის ათვისება, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, რევოლუციური კანონიერების აღდგენა, ფრაქციულმა ჯგუფმა გააქტიურა თავისი ანტიპარტიული, ძირგამომთხრელი საქმიანობა და დაიწყო მომხრეთა გადაბირება ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში. ჯგუფს შეემატნენ ბულგანინი, პერვუხინი და საბუროვი, მათ მიემხრო შეპილოვიც. როცა იგრძნეს, რომ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში შეაკოწიწეს არითმეტიკული უმრავლესობა, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებმა დაიწყეს აშკარა შეტევა, შეეცადნენ შეეცვალათ პოლიტიკა პარტიასა და ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკა, რომელიც დასახა პარტიის XX ყრილობამ.

მაგრამ ფრაქციონერები მოტყუვდნენ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1957 წლის ივნისში გაიმართა, გადაჭრით ამხილა და იდეურად გაანადგურა ანტიპარტიული ჯგუფი. ივნისის პლენუმმა დაადასტურა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური სიმწიფე, მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება XX ყრილობის ლენინური ხაზის საფუძველზე. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად მოიწონა მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა.

პარტიამ გარიყა გაკოტრებული ფრაქციონერები, ინტრიგანი — კარიერისტები, კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები, განამტკიცა კავშირი ხალხთან, დარაზმა მთელი ძალები თავისი გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის.

XX ყრილობის კურსი მხურვალედ მოიწონეს საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა. ამან თავისი გამოხატულება პოვა მოძმე პარტიების ყრილობათა გადაწყვეტილებებსა და სხვა მასალებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(დასასრული)

1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტებში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ჩვენი პარტიის კურსი პიროვნების კულტის მავნე შედეგების აღმოფხვრისა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჭეროვნად ვერ გაიგეს ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა, უფრო მეტიც მათ დაიწყეს ბრძოლა ამ კურსის წინააღმდეგ.

კურსი, რომელიც ჩვენი პარტიის XX ყრილობამ შეიმუშავა — ლენინური კურსია და ჩვენ არ შეგვიძლია დავუთმოთ ამ პრინციპულ საკითხში არც ალბანელ ხელმძღვანელებს, არც სხვა ვინმეს.

XXII ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენ ვაცხადებთ, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდე, მისი დიადი პრინციპების ყოველგვარი დამახინჯებისადმი შეურიგებლობა კანონია ჩვენი პარტიისათვის, კომუნისტებისათვის. რევოლუციის საქმე, ხალხის საქმე ყველაფერზე მაღლა დგას, მისი ხელმძღვანელები კი ასეთი სახელის ღირსნი მხოლოდ მაშინ არიან, როცა ისინი გამოხატავენ მშრომელთა ძირეულ ინტერესებს და მიდიან სწორი გზით.

არ არის არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკის არც ერთი დიდი საკითხი, რომელიც კოლექტიურად არ განხილულიყო ჩვენს პარტიაში და მიღებული გადაწყვეტილებანი პარტიის კოლექტიური გამოცდილების გამოხატულებაა. სწორედ ეს არის ლენინური პრინციპების განხორციელება. წესად დამკვიდრდა იმ საკითხების ფართო საერთო პარტიული და საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომლებიც გამოტანილია ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების განსახილველად. ნაყოფიერი აღმოჩნდა რევოლუციური კანონიერების აღდგენის, პარტიული და საბჭოთა დემოკრატიის განვითარების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოებისა და როლის ამაღლების, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებანი.

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებამ, ადგილობრივი პარტიული ორგანოების უფლებების გაფართოებამ და როლის ამაღლებამ, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის დაცვამ პარტია კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი გახადეს, განამტკიცეს მისი კავშირი მასებთან. ხალხთან პარტიის ურღვევი კავშირი თვალნათლივ ვლინდება პარტიული რიგების ზრდით. პარტიაში ახალი ძალების განუწყვეტელი მოსვლით.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი პარტიის რიცხვი ორმილიონ ნახევარი კაცით გაიზარდა. თუ XX ყრილობისათვის პარტიის რიგებში 7.215.505 კომუნისტი იყო, XXII ყრილობისათვის (1961 წლის 1 ოქტომბრისათვის) კომუნისტების რიცხვი გაიზარდა 9.716.005 კაცამდე.

ახლა, როცა წარმოებს ბრძოლა კომუნიზმისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, პარტიაში ყოველ შემსვლელს ჩვენ უნდა მოვთხოვოთ, რომ იყოს მოწინავე მებრძოლი კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე. პარტიის წესდება კომუნისტისაგან მოითხოვს იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მაღალი იდეურობის, ნაკლოვანებებისადმი, მომხვეჭელობის და მუქთახორობისადმი შეურიგებლობის მაგალითი, მოითხოვს ადამიანებისადმი გულისხმიერებასა და ყურადღებას, პარტიისა და ხალხისადმი ერთგულებას. კომუნისტი უნდა გვიჩვენებდეს მაგალითს კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პარტიის ორგანიზატორულ მუშაობასა და კადრების აღზრდას, ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც ახალ წარმატებათა საწინდარია.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობას. XX ყრილობამ ფართო ასპარეზი გადაშალა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებისათვის. პარტიამ აღმოფხვრა პიროვნების კულტის უარყოფითი შედეგები, განახორციელა შემობრუნება იდეოლოგიურ მუშაობაში ცხოვრების მოთხოვნებისადმი, განახორციელა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განმტკიცების კურსი. პარტიამ თავის პოლიტიკას საფუძვლად დაუდო მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, მთელი თავისი თეორიული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა დაუქვემდებარა კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრას.

ახლა იდეოლოგიური მუშაობის წინა პლანზე წამოყენებულია ის ამოცანა, რომ ღრმად განვუმარტოთ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც აიარაღებს პარტიასა და მთელ ხალხს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის დიადი გეგმით. ჩვენი ახალი პროგრამა კომუნიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის საფუძველია.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ადამიანის მომზადება შრომითი საქმიანობისათვის, ადამიანთა შრომითი წრთობა, შრომისადმი, როგორც პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილებისადმი, სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა კომუნისტური აღზრდისათვის მთელი მუშაობის არსი, სული და გულია.

საანგარიშო პერიოდი პარტიის ცხოვრებაში აღინიშნა იმით, რომ შემოქმედებითად გადაიჭრა კომუნიზმის მშენებლობის ბევრი დიდი საკითხი და საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალური პრობლემა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი თეორიული მუშაობა განსახიერებულია ახალი პროგრამით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთებაა.

კომუნისტთა, მარქსისტ-ლენინელთა უდიდესი არმია, თქვა დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ხალხთა ავანგარდია მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში. კომუნიზმის დიადი დროშით შეკავშირდება და დაირაზმება სულ ახალი მილიონობით ადამიანი. პროგრესის საქმე, კომუნიზმის საქმე გაიმარჯვებს!



„ლოკომოტივი" (თბილისი): ქვემო რიგში — მ. მიროშნიკოვი, ვ. ბურდინი, ი. უსტაბაშიძე, ს. აპრესიანი, ო. ნიშნიანიძე, ო. რუხაძე, ჟ. შენგელია. ზემო რიგში — ვ. რამიშვილი (უფროსი მწვრთნელი), ზ. ქვარიანი (მწვრთნელი), ა. სიამაშვილი, ო. ურთქმელიძე, ნ. ახალკაცი, გ. მუმლაძე, ა. ივანოვი, ჟ. კუჭავა, მ, იაშვილი, გ. შავდია, გ. ადამია,



„ტორპედო" (ქუთაისი): ქვემო რიგში — ა. მარგველაშვილი, გ. ცხოვრებოვი, რ. ურუშაძე, გ. სორდია, გ. მერაბიშვილი, გ. კუბლაშვილი, ნ. სარჯველაძე. ზემო რიგში — უ. სალდაძე (უფროსი მწვრთნელი), ა. ავალიანი, ი. ლოსაბერიძე, ჯ. ხაჟალია, თ. პეტრიაშვილი, გ. ლეჟავა, გ. გომელაური, ო. სირაძე, ზ. მაჭარაშვილი, გ. ნიშნიანიძე.

# ვუსურვოთ წარმატება

1961 წლის საფეხბურთო სეზონი ჩვენს ქვეყანაში დასასრულს უახლოვდება. კიდევ ცოტა და დამთავრდება „ა" და „ბ" კლასების გუნდების ჩემპიონატები, სსრ კავშირის თასის გათამაშება და სხვა შეჯიბრებები.

უკვე მეორე წელია საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში ორივე კლასის კოლექტივებისათვის ახალი სისტემით ტარდება. მის კარგ და ნაკლოვან მხარეებზე ბევრი ლაპარაკი იყო შარშანაც და ახლაც, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რაც აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს: „დიდი ფეხბურთის" გეოგრაფია გაიზარდა ისე, როგორც არასდროს და მოკავშირე რესპუბლიკებს საშუალება მიეცათ აამაღლონ თავიანთ ფეხბურთელთა საერთო კლასი.

ეს ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზეც. საქართველოს ახლა 5 გუნდი ჰყავს საკავშირო ასპარეზზე. ეს მნიშვნელოვანი ციფრია. დიდ სარბიელზე გამოსვლის საშუალება მიეცათ ისეთ დიდ ქალაქებს, როგორებიცაა ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი. გამოჩნდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები: ხაჟალია, ლოსაბერიძე (ქუთაისის „ტორპედო"), ფიფია, მინჯია (სოხუმის „რიწა"), ჩხარტიშვილი, პატარაია (ბათუმის „დინამო"), მუმლაძე, ოდიკაძე (თბილისის „ლოკომოტივი"), ქოჩიაშვილი (რუსთავის „მეტალურგი") და სხვანი.

ამის შედეგად მაღალი კლასის ფეხბურთის ორბიტაში მოექცა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა დიდი მასა, საშუალება მოგვეცა უკეთ გავსინჯოთ მეტი ახალგაზრდა სპორტსმენი, პერსპექტივა შევუქმნათ მათ. აი მაგალითი: ახლა საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში სისტემატურად თამაშობენ ფეხბურთელები ტყიბულიდან, სამტრედიიდან, სოხუმიდან, ქობულეთიდან, ფიზკულტურის ინსტიტუტიდან და სხვ. თუ უწინ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელთათვის მხოლოდ პერიოდულად ეწყობოდა მოკლევადიანი შეჯიბრებები, რის შემდეგ უმეტესობა მაინც „დიდი ფეხბურთის" გარეშე რჩებოდა, ახლა მათ ხარჯზე სისტემატურად კომპლექტდება „ბ" კლასის კოლექტივები და საერთო სპორტული ოსტატობაც შეუფერხებლად და თანმიმდევრულად მაღლდება.

მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ მოხდება წელს გუნდების მოძრაობა „ა" და „ბ" კლასებს შორის. რსფსრ-ს ზონებში გამარჯვებულები გაითამაშებენ ფინალურ ტურნირს და ჩემპიონი დაიკავებს იმ გუნდის ადგილს, რომელიც ბოლო ადგილზე გამოვა „ა" კლასში ამ რესპუბლიკის კოლექტივებს შორის. უკრაინის ჩემპიონი ორ გადასასვლელ მატჩში შეხვდება სტალინოს „შახტიორს" და მათს შორის გამარჯვებული გადავა „ა" კლასში. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს, აქ უკვე ცნობილია, თუ ვინ არიან უმაღლეს ჯგუფში მოხვედრის პრეტენდენტები, ესენია: „კალევი" (ტალინი), „ლოკომოტივი" (თბილისი) და „ტორპედო" (ქუთაისი). მათი გათამაშება, როგორც ცნობილია, ჩატარდება კიშინიოვში ორ წრედ და პირველ ადგილზე გამოსული გუნდი მომავალ წელს ითამაშებს „ა" კლასში.

და აი საქართველოს გუნდებმა თავიანთ გულშემატკივრებს მეტად სასიხარულო საჩუქარი უძღვნეს. ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა მეორე გუნდი ვიყოლიოთ „ა" კლასში.

თბილისის „ლოკომოტივისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გზა ფინალისაკენ არ იყო იოლი. მათ მოუხდათ ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა, როგორებიცაა ლენინაკანის „შირაქი", გომელის „ლოკომოტივი", რიგის რეზ-ი (I ზონა), ყარაგანდის „შახტიორი", ერევნის „ნაირი", აშხაბადის „კოპეტ-დაგი" (II ზონა) და სხვანი.

ქუთაისელი ფეხბურთელები კარგა ხანს საგრძნობი განსხვავებით ლიდერობდნენ თავიანთ ზონაში, მაგრამ გუნდს ავადმყოფობის გამო ერთდროულად გამოაკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რის შედეგადაც ქულათა მარაგი მინიმუმამდე დავიდა. ტორპედოელებმა შემდგომში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს ზონაში.

შედარებით უფრო ძნელი იყო თბილისის „ლოკომოტივის" გზა. ჯერ ერთი, მას ჰყავდა მეტად ძლიერი მეტოქე „შირაქის" სახით, მეორეც — გუნდს სისტემატურად აკლდა წამყვანი მოთამაშეები, ადგილი ჰქონდა დენადობას, ანსამბლი ვერ შეთამაშდა და ა. შ. და მაინც რკინიგზელებმა ჯერ კიდევ გათამაშების დამთავრებამდე გაინაღდეს პირველი ადგილი.

წარმატებით ჩაატარეს მატჩები აგრეთვე რუსთავის „მეტალურგმა", ბათუმის „დინამომ" და სოხუმის „რიწამ".

ახლა ჩვენი გუნდებისათვის გადამწყვეტი მომენტია. ჯერ კიდევ ომამდელ წლებში საქართველოს „ა" კლასში ორი გუნდი ჰყავდა (თბილისის „დინამო" და „ლოკომოტივი"), ხოლო ათიოდე წლის წინ — თბილისის „სპარტაკი". მაგრამ ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ სპარტაკელთა შესანიშნავი კოლექტივი (ამაში ბრალი პირველ ყოვლისა მიგვიძღვის ჩვენვე) და კვლავ ერთი გუნდის შემყურე დავრჩით, თუმცა თბილისის „სპარტაკს" კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია და აქ აღზრდილი ფეხბურთელები დღემდე შემორჩნენ „დინამოს". შემდგომ წლებში „ა" კლასში გადასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იყო თბილისის არმიელთა გუნდი, მაგრამ იგი დაიშალა ისე, რომ ვერ შეძლო უძლიერესთა შორის მოხვედრა.

და აი დღეს ჩვენი ორი გუნდი დგას უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე: ერთ-ერთი მათგანი უნდა მოხვდეს „ა" კლასში.

საქართველო საკმაოდ მდიდარია ფეხბურთის ტალანტებით და მას სრული შესაძლებლობა აქვს დაკომპლექტოს 2 გუნდი საკავშირო ასპარეზზე გამოსვლისათვის.

სულ ერთია ვინ მოხვდება „ა" კლასში: თბილისის „ლოკომოტივი" თუ ქუთაისის „ტორპედო". ახლა მთავარია ერთი — რესპუბლიკამ უნდა მოიპოვოს უმაღლეს ჯგუფში ორი გუნდით მონაწილეობის უფლება.

ეს იქნება ქართული ფეხბურთის დიდი წარმატება.

ვუსურვოთ ჩვენს გუნდებს წარმატება მომავალ ტურნირში.

**დ. ცომაია,**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,

**ბ. ქორქია.**

* * *

„ა" კლასში გადასასვლელი ტურნირი დაიწყება 25 ოქტომბერს. 20 ოქტომბერს მოსკოვში შედგება ტურნირში მონაწილე გუნდების კენჭისყრა.

# პირველი მატჩი მოგებულია

საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა პირველი შეხვედრა თურქეთში ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა ქალაქ ადანში. ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მ. ქ დავეები მსოფლიოს ჩემპიონი ა. ალიევი და პ. სოლმათი. მესამე წუთზე საბჭოთა მოჭიდავემ ჩოქბჯენში გადაიყვანა მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ მან კიდევ რამდენჯერმე ჩააყენა სოლმათი კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ თურქი, უკ ნასკნელ მომენტში სულ მუდამ ახერხებდა თავის დაღწევას. ბრძოლა ქულებით მოიგო ა. ალიევმა.

ორ მომდევნო შეხვედრას იგებენ თურქეთის გუნდის წევრები. განსაკუთრებით ძლიერად იბრძოდა მ. სლივანი ა. ლოსიკის წინააღმდეგ. მეშვიდე წუთზე თურქმა ხიდურზე დააყენა საბჭოთა მოჭიდავე და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ს. გაჭიევმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ფიზიკურად ძლიერ ო. ფეხლევანს, მაგრამ ქულებით მაინც დამარცხდა.

თავისთვის ჩვეულ, აგრესიულ სტილში დაიწყო ბრძოლა რ. ჯლამაძემ ბ. გუნგორის წინააღმდეგ. თურქი სულ მალე დარწმუნდა, რომ საბჭოთა მოჭიდავე განსაკუთრებით ძლიერია დგომში და დაიწყო ხალიჩიდან გაქცევა. იგი ყოველნაირად გაურბოდა ბრძოლის გამწვავებას, რის გამოც რ. ჯლამაძემ ბოლომდე ვერ შეძლო თავის შესაძლებლობათა გამოვლენა. ქულებით გამარჯვება ერთხმად მიენიჭა ჯლამაძეს.

ქვესაშუალო წონაში საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა გ. სალარაძე. თურქებმა მის წინააღმდეგ გამოიყვანეს ახალგაზრდა, მაგრამ ფიზიკურად ძალზე ძლიერი ე. ათლევი. დაძაბულ ბრძოლაში უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწია თურქმა მოჭიდავემ და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

საშუალო წონაში ვ. ლეტუნმა ქულებით დაამარცხა მ. დოგანი, ასევე საბჭოთა მოჭიდავის, ბ. გურევიჩის გამარჯვებით დამთავრდა მისი შეხვედრა ჰ. კიშთან. ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა მძიმე წონის მოჭიდავემ ა. ივანიცკიმ მ. ემერას წინააღმდეგ. მეხუთე წუთზე მან წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

თურქეთისა და საბჭოთა მოჭიდავეების შეხვედრის ანგარიშია 5:3 ჩვენი ნაკრები გუნდის სასარგებლოდ. მეორე მატჩს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეები გამართავენ 19 ოქტომბერს ანკარაში.

## „ზენიტი" ნახევარფინალში

ამ დღეებში შედგა კიდევ ერთი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტი" და ბაქოს „ნეფტიანიკი".

მატჩი მოიგეს ზენიტელებმა ანგარიშით 2:1 და ნახევარფინალში გავიდნენ.

## „განთიადის" თასზე

„განთიადის" სილნალის რაისაბჭომ ამ დღეებში ჩაატარა ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება საზოგადოება „განთიადი"-ს თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სილნალის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკისა და წნორის მექანიკური ქარხნის ფრენბურთელთა გუნდები, მეტად საინტერესო და დაძაბული ბრძოლა დამთავრდა 3:1 წნორის მექანიკური ქარხნის გამარჯვებით.



## საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა

გრძელდება გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთელთა შორის. თავიდან არავის შეეძლო დაესახელებინა ყველაზე უძლიერესი, მაგრამ პრეტენდენტების ვინაობაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ამიტომ თბილისის I, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის კოლექტივები, რომლებმაც ჰპოვეს ეს აღიარება, ბრძოლაში ჩაებნენ მხოლოდ მეოთხედფინალიდან. მანამდე ერთმანეთს შეხვდნენ დანარჩენი გუნდები.

თბილისის II გუნდის უპირატესობა რუსთაველ კოლეგებზე აშკარა იყო. ამიტომ არავინ გააკვირვა შედეგმა. სტალინირისა და თელავის მაგიდის ჩოგბურთელებმა დიდი მონდომება ჩააქსოვეს თამაშში. ანგარიში ხშირად იცვლებოდა. ბოლოს გამარჯვება სამხრეთ-ოსეთის სპორტსმენებს დარჩათ — 12:10. ბორჯომელებს გუნდში აკლიათ ორი ძირითადი მოთამაშე. ამან შეარყია ბორჯომელთა რწმენა თავის ძალებში და ისინი დამარცხდნენ (3:12) ტყვარჩელელებთან.

გუშინ რუსთავის, ბორჯომისა და თელავის გუნდები ერთმანეთს ეცილებოდნენ IX-X-XI ადგილებს.

საინტერესოდ წარიმართა შეხვედრები მეოთხედფინალში. ბათუმის ძლიერმა გუნდმა შედარებით იოლად სძლია ქუთაისელ სპორტსმენებს — 12:3. სოხუმელებმა მხოლოდ შეუპოვარ ბრძოლაში გასტეხეს სტალინირელთა წინააღმდეგობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 12:7.

თბილისის I და II გუნდებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს თავიანთი მატჩები ტყვარჩელისა და ფოთის მაგიდის ჩოგბურთელებთან. ორივე გუნდმა მოიგო „მშრალი" ანგარიშით 12:0.

გუშინ გვიან საღამოს გრძელდებოდა ნახევარფინალური შეხვედრები. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმი-თბილისი II და სოხუმი-თბილისი I.

დღეს მაგიდის ჩოგბურთელები შეუდგებიან ბრძოლას ჩემპიონის სახელისათვის პირად ჩათვლაში.

* * *

**სურათზე:** თბილისელი მ. ქვათაძე თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ა მ ბ ე ბ ი



უკვე რამდენიმე წელია, რაც პროფესიულ რინგზე გამოდის სახელგანთქმული უნგრელი მოკრივე, ლონდონის, ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლასლო პაპი.

**სურათზე:** თქვენ ხედავთ ლასლო პაპის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო ბრძოლას დასავლეთ გერმანიის მოკრივესთან.

### მსოფლიოს 10 უძლიერესი ჩოგბურთელი

მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ასე გაანაწილა ადგილები პირველ ათეულში ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის:

ვაჟები: 1. როდ ლეუერი (ავსტრალია), 2. როი ემერსონი (ავსტრალია), 3. მანუელ სანტანა (ესპანეთი), 4. ნიკოლა პეტრანჯელი (იტალია), 5. ჩარლზ მაკკინლეი (აშშ), 6. რამანათან კრიშნანი (ინდოეთი), 7. ლუის აიალა (ჩილი), 8. ნილს ფრეზერი (ავსტრალია), 9. ერიკ ლუნდკვისტი (შვეცია), 10. ულფ შმიდტი (შვეცია).

ქალები: 1. ანჟელა მორტიმეთი (ინგლისი), 2. დარლენ ჰერდი (აშშ), 3. ანნ ჰეიდენი (ინგლისი), 4. მარგრეტ სიტი (ავსტრალია), 5. სანდრა რეინოლდსი (სამხრეთ აფრიკა), 6. იოლანდა რემირესი (მექსიკა), 7. კრისტინ ტრუმენი (ინგლისი), 8. სუზი კორმოცი (უნგრეთი), 9. რენე შერმანი (სამხრეთ აფრიკა), 10. კარენ პენცი (აშშ).

### ფ. პატერსონის მენაჯერი იუწყება

ნიუ-იორკში პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კრივში მსოფლიო ჩემპიონ ფ. პატერსონის მენაჯერმა ამატომ განაცხადა: „პატერსონი თავის წოდებას დაიცავს ინგლისელ კუპერთან. ამ მატჩამდე პატერსონის ყველა შეხვედრა არაოფიციალური იქნება. ასეთ ხასიათს ატარებს მისი მატჩი ამერიკელ მაკ-ნეილთან, რომელიც 20 ნოემბერს გაიმართება ტორონტოში (კანადა). მაკ-ნეილმა რომც მოიგოს ეს მატჩი, ფ. პატერსონი არ დაკარგავს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, ვინაიდან მაკ-ნეილი სათანადო წრეების მიერ არაა ცნობილი პატერსონის მეტოქედ".

### ვეტერანებმა სძლიეს ჭაბუკებს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონთა თასის დაკარგვით განრისხებულმა „ბარსელონას" დირექტორმა სათანადოდ დასაჯა მოთამაშეები, შემდეგ დაითხოვა უცხოელი „მოქირავეები" და მათ ნაცვლად მოუხმო ახალგაზრდა მოთამაშეებს. გუნდმა, მართალია, დაკარგა ძალა, მაგრამ ეს გამოსწორდება — ჭაბუკ ფეხბურთელთა შეწყობას დრო უნდა.

დღეისათვის ჩემპიონატს ლიდერობს მადრიდის „რეალი", რომელიც მთლიანად ვეტერანებისაგან შედგება. საყურადღებოა, რომ ამ გუნდისა და ეროვნული ნაკრების ცნობილმა მეკარემ ვისენტემ სერიოზული ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა იმკურნალოს. ამჟამად მას ცვლის ნაკრების მეორე მეკარე არკისტაინი, რომელიც „რეალმა" ბილბაოს „ატლეტიკოსაგან" შეიძინა. კარგად თამაშობს მადრიდის მეორე გუნდი „ატლეტიკო", რომელიც გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია. სევილიის „ბეტისი" წელს „გამდიდრდა" ავსტრიის ნაკრების ხარჯზე. აქ თამაშობენ „ვიენას" მეკარე შმიდტი და გამოჩენილი თავდამსხმელი ჰ. ზენეკოვიჩი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი სპორტული მეტოქეების „რეალისა" და „ბარსელონას" შეხვედრამ, რომელიც მადრიდში გაიმართა. ამჯერად ვეტერანებმა სძლიეს ჭაბუკებს (2:0) და „რეალი" კვლავ ლიდერობს შეჯიბრებას. მადრიდელთა მწვრთნელი მუნოზი მაინც მთავარ ყურადღებას უთმობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას. პირველ წრეში ესპანეთში ორჯერ ძლიეს ბუდაპეშტის „ვაშაშს", ახლა კი მათი მოწინააღმდეგე უნდა იყოს შედარებით სუსტი გუნდი — დანიის ჩემპიონი „ოდენზე". მიმომხილველთა ეჭვს არ იწვევს ამ შეხვედრის შედეგი.

ამასთან ერთად ესპანელები ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მაროკოელებთან შესახვედრად. მაროკოელები საკმაოდ ძლიერ ფეხბურთელებად ითვლებიან და მეტად სერიოზულადაც ემზადებიან ესპანელებთან შესახვედრად. ამ მიზნით გუნდმა იმოგზაურა ევროპაში, სადაც შეხვდა იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს. ამ მატჩებმა სპორტული მიმომხილველების ყურადღება მიიპყრო. ბელგრადში მაროკოელები იგებდნენ ანგარიშით 2:0 და იუგოსლაველებმა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გამოგლიჯეს მათ გამარჯვება — 3:2. სამაგიეროდ რამდენიმე დღის შემდეგ მაროკოელებმა ლაიპციგში სძლიეს გერმანელებს (2:1). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა აღნიშნავს მაროკოელთა ტემპერამენტიან და ტექნიკურ თამაშს.

რედაქტორი ი. უზულავა.

## დღეს თბილისში

**მძლეოსნობა** — საქართველოს პირველობა მოზარდთა შორის. „ბურევესტნიკის" სტადიონი. დასაწყისი 11 საათზე.

**მაგიდის ჩოგბურთი** — საქართველოს პირველობა. ლენინის სახ. დარბაზი. დასაწყისი 16 საათზე.

**ცხენოსნობა** — საქართველოს პირველობა. იპოდრომი. დასაწყისი 10 საათზე.

## ხ ვ ა ლ

**კალათბურთი** — თბილისის პირველობა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. კიროვის სახ. პარკი. დასაწყისი 17 საათზე.

**მაგიდის ჩოგბურთი** — საქართველოს პირველობა. ლენინის სახ. დარბაზი. დასაწყისი 16 საათზე.

**ხელბურთი** (7×7) — თბილისის პირველობა. კიროვის სახ. პარკი. დასაწყისი 15 საათზე.

**ფეხბურთი** — თბილისის პირველობა მოზარდთა გუნდებს შორის. თბილისის სტადიონებზე. დასაწყისი 15 საათზე.

**მძლეოსნობა** — საქართველოს პირველობა მოზარდთა შორის. „ბურევესტნიკის" სტადიონი. დასაწყისი 11 საათზე.

**ცხენოსნობა** — საქართველოს პირველობა. იპოდრომი. დასაწყისი 10 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3 01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01176